ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3

ხელვაჩაური

ერთის მხრივ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მ/შ მზიური შავაძის სახით და მეორეს მხრივ შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია დანართი #1 – ში მოცემული სხვადასხვა დასახელების საქონელი (შესასყიდი საქონელის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ღირებულება, ფასი, შესყიდვის კოდები განსაზღვრულია დანართი #1 – ის მიხედვით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა სულ 3122.85 (სამიათას ოცდაორი ლარი 85 თეთრი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონელის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონელის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

5. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2.საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად საქონელის გადაცემის და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ.
5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონელის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
5.4. საქონელის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის არმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონელის ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად შევსებული ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთოთოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი მზიური შავაძე.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
9.4. 9.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონელის ღირებულება.
11.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა
საქართველო, ხელვაჩაური
სოფელი სალიბაური
ს/კ 248386811
ს.ს. „ტერა ბანკი
მფო KSBGGE22
ა/ა GE97KS0000000004154066

მიმწოდებელი:

შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
(მის. ბაგრატიონის ქ., N97)
ს/კ 445427119
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მფო BAGAGE22
ა/ა GE13PC0193600100011836

მზიური შავაძე

დირექტორის მ/შ

სალომე კიკვაძე

Salome Kikvadze 61001050902

Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2023.02.06 14:24:49

დირექტორი

2023 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება N3-ის დანართი #1

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	CPV კოდი
1	106/0335 ფაილი A4 0.35 (100ც) HL-30335 (30)	შეკვრა	10.00	6.10	61.00	22852100
2	307/001 ცოცხი	ცალი	20.00	9.50	190.00	39224100
3	8682538310008 Ledolet 9w E27 6500K LED bulb ლედ ნათურა	ცალი	20.00	3.65	73.00	31510000
4	8681682048591 Bylion MK3515 დამაგრძელებელი ბარაბანი, 35 მ. 4 განყ. 2 ფაზ. 3G 1,5mm2 კვეთა, 4X2P+E, IP20	ცალი	1.00	105.00	105.00	31224810
5	414/0259 ტუალეტის ქაღალდი კომფორტი 48 ცალიანი 0259;9885;0038	ცალი	480.00	0.55	264.00	33761000
6	8697623320596 ზეტ დისპანსერის ხელსახოცი	ცალი	300.00	3.00	900.00	33711430
7	4860118620028 PROSALI-თხევადი საპონი - aloe vera 5 კგ	ცალი	10.00	10.00	100.00	33711900
8	411/3500 Domestos დომესტოსი 3.5gr	ცალი	40.00	12.60	504.00	39831250
9	438/1853-9767 1853-9767-ACE მათეთრებელი 4 ლტ *4	ცალი	20.00	8.50	170.00	39831250
10	8681503110254 VİNDEX-ჭურჭლის ღრუბელი 5 ცალიანი შეფუთვა (24)	ცალი	10.00	2.70	27.00	39525600
11	4860007190182 502 მაგიდის ტილო 4ც	ცალი	30.00	3.00	90.00	39525800
12	8698848006586 KALYON-ფანჯრის საწმენდი სითხე ამიაკით 750 მლ (12)	ცალი	8.00	3.35	26.80	39831250
13	1003-0099 (PRIMAX) ვედრო საწურით 360* ნაკრები	ცალი	4.00	25.00	100.00	39224330
14	129/7164 სკრეპი ფერადი N3 39716	ცალი	10.00	1.50	15.00	30192000
15	693103192676 ქაღალდის სკოჩი 036X31,6	ცალი	5.00	4.00	20.00	30192000
16	138/1437 ნაკრები:საკანცელარიო კლიფსი(ლითონის),სკრეპი,ჭიკარტი Z20703, DELI	ცალი	1.00	10.05	10.05	30192000
17	128/5569 კლიფსი მეტალის ფერადი 15მმ (შეკვრაში 60ცალი) 8556	შეკვრა	1.00	7.50	7.50	30192000
18	161/009 სასკოლო ცარცი (100ცალი)	შეკვრა	4.00	11.60	46.40	44922100
19	151/1258 ჩასანიშნი წებოვანი 76x76მმ 400ფ T4-400 (6957990901258) (12/168)	შეკვრა	4.00	5.00	20.00	30192000
20	104/0554 ბაინდერი A4 განიერი 0554	ცალი	5.00	5.30	26.50	30192000
21	6971872450306 საქაღალდე პლასტიკური 30ფაილით	ცალი	30.00	3.45	103.50	30192000
22	120/0988 მარკერი პერმანენტული EU10040 Red, DELI	ცალი	5.00	1.00	5.00	30192125
23	120/0759 მარკერი პერმანენტული EU10030 Blue, DELI	ცალი	5.00	1.00	5.00	30192125
24	120/0742 მარკერი პერმანენტული EU10020 Black, DELI (12/96)	ცალი	5.00	1.00	5.00	30192125
25	7638900083040 3040 Energizer 2032 ლითიუმ ელემენტი-ღილაკი, 1ც შეკრა 2032-FSB1 (637985)	ცალი	2.00	5.35	10.70	31400000
26	8690536014415 პაპია ხელ-პირ საწ 2-ფენა120X24	ცალი	4.00	4.20	16.80	33711430
27	8692395522162 ნაგვის ტომარა ზომა 55*60, შეკვრაში 20 ც, (50)	შეკვრა	50.00	1.20	60.00	19640000
28	408/0111 71075 სახლის რეზინის ხელთათმანი	ცალი	12.00	3.50	42.00	18424000
29	405/500 სამზარეულოს საწმენდი სიფ კრემი 500მლ თეთრი	ცალი	6.00	3.60	21.60	39831250
30	8993042621239 1239-BEA მყარი საპონი ანტიბაქტერიული 125გრ ლიმონი	ცალი	4.00	2.00	8.00	33711900
31	8993042621246 1246-BEA მყარი საპონი ანტიბაქტერიული 125გრ ალოე	ცალი	4.00	2.00	8.00	33711900

32	8993042621291 1291-BEA მყარი საპონი ანტიბაქტერიული 125გრ	ცალი	4.00	2.00	8.00	33711900
33	1000/1561 მტვერის გასაწმენდი ბუმბული 1561	ცალი	4.00	3.50	14.00	39800000
34	417/2464 შესაფუთი ცელოფანი 8*43*200 (სტრეჩი)	ცალი	1.00	21.00	21.00	19640000
35	407/040 0848-GEO მიკროფიბრი საწმენდი ტილო 40*40 (4860007490848)	ცალი	20.00	1.90	38.00	39525800
		ჯამი (GEL):			**3122.85**	

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ წერილობითი დადასტურება

ხელვაჩაური, სოფ. სალიბაური

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“, მე- 4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მზიური შავაძე და დასაქმებული - ნარგიზ კახაძე ვადასტურებთ, შერჩეულ მიმწოდებელთან - შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE (ს/კ 445427119) არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი: /----------/

სკოლის დირექტორი /----------/

შენიშვნა: პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კერძოდ: მუხლი 19. ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; თ) პირები ნათესავები არიან;

Gmail

Salibauri Salibauri <salibauris1.skola@gmail.com>

შესყიდვის თანხმობის შესახებ

con spa gov ge <con@spa.gov.ge>
ვის: Salibauri Salibauri <salibauris1.skola@gmail.com>

3 თებერვალი, 2023, 11:22

მოგესალმებით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 2 თებერვლის მომართვა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების დანართით განსაზღვრული ობიექტების შესყიდვასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ვიწაიდან თქვენთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, ამ ეტაპზე, არ წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ არის წინააღმდეგი მომართვაში წახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა განახორციელოთ კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

გაითვალისწინეთ, რომ შესყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოთხოვნათა დაცვით, მონეტარული ზღვრების შესაბამისად, მათ შორის ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

პატივისცემით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

[ციტირებული ტექსტი დამალულია]